ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №38
2012 წლის 26 ოქტომბერი

ქ.ბოლნისი

,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22ოქტომბრის №34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 ოქტომბრის №34 დადგენილებაში (ვებგვერდი სსმ.matsne.gov.ge, 24/10/2012, 010320010.35.158.016098) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

1. დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ", ,,გ", ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე – 1700 ლარი;

გ) საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე –1350 ლარი;

დ) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე – 1350 ლარი;

ე) საკრებულოს აპარატის უფროსი – 1000 ლარი;"

2. დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ", ,,გ" და ,,ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) გამგებლის მოადგილე – 1300 ლარი;

გ) გამგეობის სამსახურის უფროსი – 1000 ლარი;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული – 1000 ლარი."

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2012 წლის პირველი ნოემბრიდან.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ნოდარ საბიაშვილი